ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.02.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/20

შეკითხვა:

ადვოკატი არის სამშენებლო კომპანიის იურისტი. ამასთან, ადვოკატის მეგობარს სურს სამშენებლო კომპანიისგან შეიძინოს უძრავი ქონება. ადვოკატი ჩართულია კომპანიასა და მის მეგობარს შორის მოლაპარაკებებში, როგორც ორივე მხარის ინტერესების დამცველი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარეები არ არიან დაპირიპისრებულები და შესაბამისად, მათ მიზანს წარმოადგენს ქონების შეძენის თაობაზე შეთანხმება, რაშიც მათ ეხმარებათ ადვოკატი. ასეთ შემთხვევაში, დაცულია თუ არა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმები?

ანალიზი:

„ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6)

„ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1)

არსებულ კლიენტთა ინტერესების დაპირისპირება ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემთხვევაა და ის უპირობოდ კლიენტთა შორის დავას არ გულისხმობს. მათ შორის, ერთ საქმეზე სხვადასხვა ინტერესის მქონე კლიენტების საქმისწარმოება ადვოკატს ეკრძალება. მოცემულ შემთხვევაშიც, ერთი კლიენტის ინტერესია ქონების გაყიდვის თაობაზე შეთანხმების მიღწევა,

მეორე კლიენტის ინტერესია სამშენებლო კომპანიისგან ქონების შეძენა. შესაბამისად, მათი ინტერესები სხვადასხვაა და ადვოკატს არ აქვს უფლება პროფესიული კონსულტაცია გაუწიოს ერთდროულად ორივე მხარეს და მათ თანაბრად მისცეს რჩევა შეთანხმების მიღწევის მიზნით. ამასთან, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ორივე კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

დასკვნა:

ხელშეკრულების ორივე მხარისთვის ერთდროულად იურიდიული რჩევის მიცემა წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორივე კლიენტის საუკეთესო ინტერესები დაიცვას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.